

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო

ფონდი მწვანე კაპიტალი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშო წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

სრული შემოსავლის ანგარიშგება-----4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-----5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება-----6

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია-----7
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა-----7-12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები-----12
4. საინვესტიციო ქონება-----13
5. ინვესტიციები-----14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები-----14
7. სააქციო კაპიტალი-----14
8. მიღებული სესხები-----15
9. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები-----15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები-----15
11. საიჯარო შემოსავლები-----15
12. სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები-----15
13. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა-----16-17
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან-----18
15. საანგარიშგები პერიოდის შემდგომი მოვლენები-----18

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	2020	2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,358	3,042
საინვესტიციო ქონება	602,221	2,692,452
არამატერიალური აქტივები	4,267	5,019
ინვესტიციები	807,228	807,228
მოთხოვნა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	3,929,101	3,926,482
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,345,175	7,434,223
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,630	18,902
გაცემული სესხები	773,180	669,893
სხვა აქტივები	3,676,170	3,559,917
ფული და ფულადი ექვივალენტები	0	123,730
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,463,980	4,372,442
სულ აქტივები	9,809,155	11,806,665
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	232,168	232,168
გაუნაწილებელი მოგება	9,004,614	10,116,112
სულ კაპიტალი	9,236,782	10,348,280
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,980	32,263
მიღებული სესხები		
საგადასახადო ვალდებულებები	542,393	1,426,385
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	572,373	1,458,385
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	9,809,155	11,806,665

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	2020	2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,358	3,042
საინვესტიციო ქონება	602,221	2,692,452
არამატერიალური აქტივები	4,267	5,019
ინვესტიციები	807,228	807,228
მოთხოვნა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	3,929,101	3,926,482
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,345,175	7,434,223
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,630	18,902
გაცემული სესხები	773,180	669,893
სხვა აქტივები	3,676,170	3,559,917
ფული და ფულადი ექვივალენტები	0	123,730
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,463,980	4,372,442
სულ აქტივები	9,809,155	11,806,665
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	232,168	232,168
გაუნაწილებელი მოგება	9,004,614	10,116,112
სულ კაპიტალი	9,236,782	10,348,280
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,980	32,263
მიღებული სესხები		
საგადასახადო ვალდებულებები	542,393	1,426,385
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	572,373	1,458,385
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	9,809,155	11,806,665

დირექტორი
ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	2020	2019
საოპერაციო შემოსავლები	50,852	960,797
საიჯარო შემოსავლები	50,852	960,187
სხვა შემოსავლები		610
საოპერაციო ხარჯები	(89,758)	(480,821)
შრომის ანაზღაურება	(26,883)	(210,888)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26,575)	(13,632)
კომუნალურები		(110,752)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(36,300)	(145,549)
საოპერაციო მოგება	(38,906)	479,976
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	(1,211,379)	9,524,829
საპროცენტო შემოსავალი	64,541	(216,224)
საკურსო სხვაობის ხარჯი, წმინდა	74,246	(404,394)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(1,111,498)	9,384,187
სარგებელი მოგება/ზარალიდან		
მთლიანი სრული მოგება/ზარალი	(1,111,498)	9,384,187

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	2020	2019
საოპერაციო შემოსავლები	50,852	960,797
საიჯარო შემოსავლები	50,852	960,187
სხვა შემოსავლები		610
საოპერაციო ხარჯები	(89,758)	(480,821)
შრომის ანაზღაურება	(26,883)	(210,888)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26,575)	(13,632)
კომუნალურები		(110,752)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(36,300)	(145,549)
საოპერაციო მოგება	(38,906)	479,976
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	(1,211,379)	9,524,829
საპროცენტო შემოსავალი	64,541	(216,224)
საკურსო სხვაობის ხარჯი, წმინდა	74,246	(404,394)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(1,111,498)	9,384,187
სარგებელი მოგება/ზარალიდან		
მთლიანი სრული მოგება/ზარალი	(1,111,498)	9,384,187

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციოსაქმიანობიდან	(1,166,050)	(4,610,587)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,007,381	9,091,155
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	31,820	(4,352,747)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/ შემცირება	(123,730)	127,821
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	123,730	29,898
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	3,119	(33,989)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	0	123,730
დირექტორი		
ფილიპე ხუფენია		

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,166,050)	(4,610,587)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,007,381	9,091,155
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	31,820	(4,352,747)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/ შემცირება	(123,730)	127,821
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	123,730	29,898
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	3,119	(33,989)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	0	123,730

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	731,925	964,093
მთლიანი სრული ზარალი		9,384,187	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	10,116,112	10,348,280
მთლიანი სრული მოგება		1,111,498	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	9,004,614	9,236,782

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	731,925	964,093
მთლიანი სრული ზარალი		9,384,187	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	10,116,112	10,348,280
მთლიანი სრული მოგება		1,111,498	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	232,168	9,004,614	9,236,782

დირექტორი
 ფილიპე ხუფენია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო კომპანია მწვანე კაპიტალი (შემდგომში კომპანია) დარეგისტრირებულია 2011 წლის 10 მაისს საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის სს საქტრანსპროექტი მწვანე კაპიტალის სამართალმემკვიდრე, რომელიც რეგისტრირებულია 1995 წლის 21 დეკემბერს.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ქ. თბილისში უძრავი ქონების მართვა
კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება
კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. # 154
კომპანიის დირექტორია ფილიპე ხუფენია

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის, კონვერტაციის დროს წარმოსობილი კურსთასორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით , რომელიც გადაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალია აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენებს, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსურ აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალსახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულებების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისის აღიარებას წმინად საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისათვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკოტირებული).

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე, თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5-8
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა	5-8

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

შემოსავალი ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ზარალების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია პროგრამული უზრუნველყოფის სახით (რვა წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებისა და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით.

საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულების მოდელით.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს.

ქვემოთ მოცემულია საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	25

დაბეგვრა

მოგების გადასახდის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან და არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და ასაგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახდო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანტეხულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სასახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფიდან.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგები თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და აზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსურია აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნების ოჯახის წევრი;

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სა საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებაზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

4. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,496,517
შეძენა	2,704,667
გასვლა	(1,496,517)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,704,667
გასვლა	(2,076,211)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	628,456

დაგროვილი ცვეთა

2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(610,302)
ცვეთა	(12,215)
ცვეთის ჩამოწერა	610,302

2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(12,215)
ცვეთა	(25,137)
ცვეთის ჩამოწერა	11,117
დაგროვილი ცვეთა 2020 წ 31 დეკემბრისთვის	(26,235)

ნარჩენი ღირებულება	2,692,452
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	602,221

2020 წელში რეალიზებული იქნა საინვესტიციო ქონების ნაწილი ქ. თბილისში, ბოხუას ქ. # 4-ში. საინვესტიციო ქონების ნაწილი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დაყადაღებულია საბიუჯეტო დავალიანების გამო.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

5. ინვესტიციები

	წილი	2020	2019
		807,228	807,228
სს მიკროკრედიტი	100%	804,728	804,728
შპს კაფეინი	50%	2,500	2,500

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
	14,630	18,902
სავაჭრო მოთხოვნები	14,630	18,902

7. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციების მფლობელები	წილი	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ერთი აქციის ღირებულება ლარებში	თანხა
შპს გრინ კაპიტალ პარტნერსი	88%	151,114	1.3521	204,321
სხვა	12%	20,600	1.3521	27,848
	100%	171,714		232,168

სხვა განყოფილებაში გაერთიანებულია რამოდენიმე აქციონერი, რომლებიც ინდივიდუალურად ფლობენ კომპანიაში 1.5%-ზე ნაკლებ წილს.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ლარში)

8. მიღებული სესხები

კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები

9. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიამ არ აქვს გრძელვადიანი
 ვალდებულებები

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
	29,980	32,263
სავაჭრო ვალდებულებები	23,391	20,757
მიღებული ავანსები	6,589	11,506

11. საიჯარო შემოსავლები

კომპანია ძირითად საიჯარო შემოსავლებს ღებულობდა ქ. თბილისში, ბოხუას ქ. # 4-ში არსებული შენობის
 ფართის გაქირავებით სხვადასხვა კომპანიებზე,

12. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	<u>2020</u>	<u>2019</u>
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახდის გარდა	(19,832)	(74,702)
რემონტის და შეკეთების ხარჯი	-	(7,445)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(15,980)	(27,389)
დაზღვევა	-	(2,925)
სხვა	(488)	(33,088)
	(36,300)	(145,549)

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები
- ფული ბანკში
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
-

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა, პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორების ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრტხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2020</u>	<u>2019</u>
მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები	8,393,081	8,175,194
ფული ბანკში	-	123,730
	8,393,081	8,298,924

კომპანია აღიარებს გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებისადმი მომავალი შესაძლო დანაკარგების შეფასებას. აღნიშნული ანარიცხის მთავარი კომპონენტია ინდივიდუალური ანარიცხი, რომელიც გამოითვლება კლიენტთა ინდივიდუალური ანალიზით

გრძელვადიანი მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება სემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ნომინირებულია ლარში, გარდა მისაღები სესხების ღირებულებით 494,893 და 590,730 ლარი თარიღების შესაბამისად, რომლებიც ნომინირებულია დოლარში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივების და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში თუ ასეთი აქტივები ად ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქცინერებისათვის სარგებლის მოტანა და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

სს მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო ფონდი მწვანე კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შვილობილი

გადახდილი ვალდებულებები	116,253
-------------------------	---------

კომპანიის ხელმძღვანელობაზე გადახდილი ხელფასები და ბონუსები 22,829

15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობის, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

